

84-ე წელია ზეიანი გზითი იწერს, ავროპებს, ინსავეს რაიონის ინტორიას, ხარის ან უხრის ყვითელი ჰრისას, ქმის ზეიანი ცხოვრების შეყოფამაზებელი მაციანებს ... გამოიწერეთ "ახალი განთიადი" რა განათი ზეიანი მეთხველი

ახალი

„მედნიერია ის, ვისაჲ სამშობლოსათვის უძვერს გული,

# განთიადი




9-21 მანთი 2015 წელი №8 №8090 ალთისა : axaligantiadi@gmail.com.


## 26 მაისი დაბთუიღებლადის ღღ



„ახალი განთიადი,“ დებს ზაინცერელს ლეზათებს რაიონის ზეზბითი თორთ-მაციანის შელაქმ-ნელოა, თხოვით მიგმართავთ თანაზაიონელოებს - რაყოფით თქვენი ყვალი ზეებს მაციანეში გამოგვიგზავნით ზაინცერელს რა ზახალინთ თორთობი



მიგვიწევს თუ არა  
ზელევიზირის  
გამიჯვლას?



335.

ამითხველის საყარადლაგო!

თორრულ მამუხეალოზაზა გადანა-ლასთან ღაქავიკრაბით გამომავიგზავნით თქვეთუის სანიტარასო კითხვაი. პასუს ზემოგთააზავათ მომღავეო ნომარო.

გილოხავთ  
აბაღაგანს!

ღისა და მიწის  
შეღთება, 332.  
გეღთებისა და  
მიწიღების შედიგება

საეიოქაიოული  
ერიგნული  
ცნობიერების  
თავისებურებანი 333.



საქართველოთს  
ინტორიული  
საზოვრების  
შესახებ

334.



გენერალი  
გაზნიავილი -  
სამომოლოს ჯარისკაცი 335.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" რა განათი ზეიანი მეთხველი



### ცისა და მიწის შიქტომა, ზეციურისა და მიწიერის შიქტიგება ...

ამონარიდი უწმინდესი და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილა II-ის ეპისტოლედან:

“ გო ღოთა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება საოცრად დაკავშირებულია ერთმანეთთან; ეს არის ის გზა, რომელიც უნდა განვლოთ ყოველმა ადამიანმა და ყოველმა ერმა. აღმოსავლურ ფილოსოფიაში კვითხულობთ: ჰოი, მწუხარებავ, შენ საწყისი ხარ სიხარულისა და ჰოი, სიხარულო, შენ

საწყისი ხარ მწუხარებისა. ადამიანის ცხოვრება სულ ასეთი ცვალებადია, მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდეს ადამიანი. სიხარულის დროს ადამიანი არ უნდა მიეცეს განცხრომას, ხოლო მწუხარების დროს - სასოწარკვეთილებას.

სახარებაში წერია, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დალოცა მოწაფენი და ლოცვის დროს ამაღლდა ზეცად. მას შესცქეროდნენ მოციქულები და სხვანიც და ხედავდნენ, თუ როგორ შორდებოდათ უფალი. ამ დროს მათ გამოეცხადნენ ანგელოზები და უთხრეს: როგორც ხედავთ დიდებ-



ით ამაღლებას უფლისა, ისე იქნება მისი დიდებით მოსვლაც.

სახარებაში წერია, რომ ამ გამოცხადების შემდეგ მოციქულები გამობრუნდნენ სიხარულითა დიდითა. თითქოს გასაკვირია, მაცხოვარი დაშორდა მათ და მოციქულები გახარებულები არიან. მაგრამ ისინი გახარებულნი იყვნენ იმ სიტყვების გამო, რომელიც უფალმა მათ და მოელქვეანას უთხრა: “შე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ამინ”.

ეს სიტყვები უნდა გვანსოვდეს, - უფალი ჩვენთანაა!

მაცხოვარი ბრძანებს: სადაც ორნი ან სამნი შეიკრიბებიან ჩემი სახელით, - მე მათ შორის ვარ.

მოციქულებს ჰქონდათ შესანიშნავი და საოცარი წესი: როცა ტრაპეზზე სხდებოდნენ ხოლმე, - აუცილებლად ტოვებდნენ ორ თავისუფალ ადგილს: ერთს მაცხოვრისთვის და ერთს ღვთისმშობლისათვის. მათ სწამდათ, რომ მაცხოვარი და ღვთისმშობელი უჩინრად მათთან იყვნენ. მოციქულების ეს ტრადიცია მთელ მსოფლიოში მართლედნ საქართველომ შეინარჩუნა, როცა ჩვენ ტრაპეზზე ვსხდებით, პირველი სასმისით უფალი იდიდება, ხოლო ბოლო სასმისი აუცილებლად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სადიდებადია.

ეს ტრადიცია, სუფრის ეს კულტურა, არ აქვს არც ერთ სხვა ეკლესიას, არც ერთ სხვა ერსა თუ ქვეყანას.”

### ოფისიური ქრონიკა

#### სამოქალაქო საზოგადოება ადგილობრივი დემოკრატიისათვის

კასპის მუნიციპალიტეტის თემების წარმომადგენლებისათვის 28-29 აპრილს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგი სათემო ლიდერებისათვის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება ადგილობრივი დემოკრატიისათვის ფარგლებში“.

პროექტი მოიცავს საქართველოს

პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება ადგილობრივი დემოკრატიისათვის ფარგლებში“.

პროექტი მოიცავს საქართველოს



ყველა მუნიციპალიტეტს. პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები არიან: საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG), ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (ALDA - საფრანგეთი), ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA - საქართველო). ტრენინგის ძირითადი თემატიკა ეხებოდა საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს „ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“. ტრენინგს უძღვებოდნენ: ნანა ქვრივი-იშვილი - ექსპერტი-კონსულტანტი ადამიანური და ინსტიტუციონალური განვითარების საკითხებში და იოსებ ბუაძე-ექსპერტი-კონსულტანტი ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში.

#### მიკრორაიონის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის შენობა



კასპში მგზავრთა ორი მოსაცდელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. მოსაცდელეების მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება, რომელიც მგზავრებს ტრანსპორტის და მოსახლეობის მოწყობისათვის დაიცავს. მოსაცდელეებზე მოეწყობა ბეტონის იატაკი, სკამები და მეტალოკრამიტის სახურავი. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს “შენებელი 2013” ახორციელებს. სამუშაოების შესრულებაზე 11 100 ლარი დაიხარჯება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

### სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პროექტების განხორციელება დაიწყო




გამოიწერეთ „საქართველო“

კასპის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პროექტების განხორციელება დაიწყო.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სოფელ თეზში მისასვლელი გზის გასწვრივ სასმელი წყლის დაზიანებული 350 გრძივი მეტრი მილის ამოცვლის სამუშაოები მიმდინარეობს. ასევე მოეწყობა რკინა-ბეტონის ჭა და დაყენდება შემზღვეველი, რაც ყველა მოსახლეს სასმელი წყლის მიღების საშუალებას მისცემს.

სამუშაოები, რომელზეც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებულია, მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება. პროექტს ინდ. მეწარმე ილია ნონიაშვილი ახორციელებს და მასზე 25 107 ლარი დაიხარჯება.





ეროვნული სახელმწიფოებრივი ტერიტორია ერისათვის ისეთივე წმინდა და ძვირფასია, როგორც ენა და კულტურა

ეროვნული საზღვრების საკითხი ყველა ქვეყნისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რადგან ეროვნული სახელმწიფოებრივი ტერიტორია ერისათვის ისეთივე წმინდა და ძვირფასია, როგორც ენა და კულტურა.


1918 წელს საზღვრების საკითხი მთელი სიმწვავეთ დადგა საქართველოს რესპუბლიკის წინაშე, რომელსაც ათასი რგულის გადაბითელი ედავებოდა ძირძველ ქართულ მიწას.

დაყრდნობით შექმნა ნაშრომი "საქართველოს საზღვრები," რომელიც 1919 წელს გამოიცა. ამ მონოგრაფიაში თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები, თუ როგორი მონაზულობა ჰქონდა საქართველოს საზღვრებს წარსულში ისტორიულად და აგრეთვე როგორ უნდა შემოხაზულიყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები იმ პერიოდში.

მონოგრაფიაში საზღვრების მიმოხილვა ჩრდილო-დასავლეთიდან იწყება. საქართველოს უკიდურესი საზღვარი ამ მხარეს ძველთაგანვე აფხაზეთი იყო. წარსულში საზღვარი მდინარე ყუბანის შესართავიდან იწყებოდა და ტუაფსე ანუ დობაზუც აფხაზეთის საკუთრება იყო. ეს მაშინ,



საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ



სათვის, "რომ საერთაშორისო სამართლისა, 1783 წელს რუსეთთან დადებული ხელშეკრულებითა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სა-

როცა ჯიქეთი - აფხაზეთის მოძვე ტომი და ალანები აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდნენ. საკუთრივ აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარი მდინარე ბზიფისა და მისი შენაკადების ჩრდილო-აღმოსავლეთით გადიოდა და კავკასიონის მთავარი უღე-

ლტეხილის ქედებზე გრძელდებოდა სვანეთამდე. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის შემოერთების შემდეგ, რუსეთის მთავრობა მთელი თავის პოლიტიკას ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით კი ქართველთა წინააღმდეგ აწარმოებ-

და. მოსახლეობა დამოუკიდებლობის დაკარგვას არ ურიგებოდა. ორჯერ მოეწყო აჯანყება. ყველაზე მედრად რუსებს წიბელდა-კოდორის ხეობა ებრძოდა, ამის გამო მოსახლეობა თურქეთში გარეკეს. თუ 1850 წელს წიბელდაში

14 000 კომლი ითვლებოდა, 1867 წელს იმ კუთხეში 27 ოჯახი სახლობდა. კოდორის ხეობა გაუკაცრიელდა. ქართველებს იქ დასახლება და უძრავი ქონების შექმნა აკრძალული ჰქონდათ, რუსებს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს კი უსასრულოდ ურიგებდნენ სამოსახლოებს. მიუხედავად ამისა, სამურხაყანო-აფხაზეთში, სოხუმსა და სოჭის ოლქებში, 1916 წლის აღწერის თანახმად, 141 000 მცხოვრებს შორის 71 000 ქართველი და 43 000 აფხაზი იყო.

აფხაზეთის შემდეგ საქართველოს საზღვარი სვანეთისა და რაჭის ჩრდილოეთით გრძელდება, მიჰყვება კავკასიონის უღელტეხილის ქედს და მიდის დვალეთამდე (ეს ის ტერიტორიაა, სადაც ამჟამად როქის გადასასვლელი მდებარეობს. ლ.თ.). დვალეთი ძველთაგანვე საქართველოს ეკუთვნოდა. აქ ქართველობამ განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი დავით აღმაშენებლის მეფობისას. მე-18 საუკუნეში, როცა საქართველო პოლიტიკურად დაუსუსტებული იყო, ვახუშტის ცნობით, დვალეთი "მეფეთა ქართველთა... მისცემდნენ ღელმდე ხარკსა". ეს ხეობა, რომელსაც შემდეგ არდონის ქვაბ-ხეობას უწოდებდნენ, მეტად შეუვალი იყო.

\*დასასრული მომდევნო ნომერში.

დაზოგილი თანხით სკოლის შენობის შესყიდვის ანგარიში

ეს ნაწილი მზად იყო დასაბამად, როდესაც რაქაშიაში დაგვიკავშირდა ანანის მუნიციპალიტეტის გამგებანი ბატონი გიორგი ბერიძე, რომელმაც დაგვიხატა მათი მთავარი მოთხოვნა: „გადავხატოთ მონაწილე სკოლის დირექტორს ვინა ბადალაშვილს, ბავიტიანისნიცა რა, შამხილი მდგომარეობა, ნათლად დავრწმუნდი, რომ სკოლას ნაგებობად სჭირდება დაკავშირება, ჩვენი დახმარება. როგორც დირექტორისგან შევიტყუე, სკოლას წინააღმდეგობა გიუკავია, როგორც ანგარიშს სთხოვს, ანუ დახმარება და ეს უფალი სწორად ახლა, ამ საშვილიშვილო, მათად საზარსაჲს მოხარდა.

ნება, ყველა ასე იმყოფება... არსებობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის მეტეხის (ქარხნის დასახლების) მეორე საჯარო სკოლა... გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი დაარსდა, საწარმოში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნით საჭირო და აუცილებელი

მბინატი კულტურის სახლის შენობაში. მაგრამ ძალიან ძალე იხივ გარკვა, რომ დროებითი ადგილსამყოფელიც ნამდვილად არ იყო შესაფერისი, იგი სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და ამიტომ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში დახმარებისათვის სკოლის დირექციისა და კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ერთობლივი წერილი გაიგზავნა. სამინისტროდან მოვიდა გადაწყვეტილება, დასახლება-გახდა სკოლის /თავდაპირველად იყო რუსული დაწყებითი სკოლა ოთხწლიანი კლასკომპლექტის სახით/ გახსნა, რომლის კონტინგენტი ყოველწლიურად იზრდებოდა. სკოლას, რა თქმა უნდა ჰქონდა საკუთარი შენობაც, თუმცა, 80-იანი წლების ბოლოს სიძველისა და ავარიულობის გამო დროებითი ადგილი გამოეყო კო-

მეტეხის საბაზო სკოლისათვის საკუთარი შენობის გამოყოფა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად დარჩა. 2003 წელს მოსახლეობის ინიციატივით სკოლა განთავსდა აგურის ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში, იმ დღიდან მოყოლებული არაერთხელ დაისვა საკითხი ზემდგომი ინსტანციებისა თუ შესაბამისი უწყებების წინაშე აღნიშნული შენობის სკოლის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

რომ იტყვიან, ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა, ყოველ შემთხვევაში, არ გვეგონა, თუ ასე მოულოდნელად, თანაც ასე მარტივად გადაწყდებოდა ჩვენი პრობლემა, - აცხადებს მეტეხის მეორე საჯარო სკოლის დირექტორი გიორგი ბუდალაშვილი, - საქმე ის გახლავთ, რომ შარშან ანუ 2014-2015 სასწავლო წლის დასაწყისში ჩვენს

სკოლას ესტუმრა მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელსაც დაწვრილებით ავუსხენით ჩვენი მდგომარეობა და გასაჭირი, ვთხოვეთ დახმარება. სწორედ გამგებლის უშუალო დახმარებითა და ჩარევით დაისვა საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე შენობის შესყიდვის თაობაზე. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს არქიტექტურისა და კონსტრუქტორის, სამშენებლო სამსახურის მენეჯერის მიერ ადგილზე მოხდა სკოლის შენობის მდგომარეობის შესწავლა. მოკლედ, სათანადო შესწავლისა და დადებითი დასკვნის საფუძველზე მეტეხის მეორე საჯარო სკოლამ მიიღო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ქალბატონ



6 მაისი, გიორგობა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დაბადების დღეა. იგი იმ იშვიათ სამხედრო მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთი სარდლობით წარმოებულ ბრძოლებში არასოდეს დამარცხებულან. გენერალს უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში. იმ ბატალიებიდან, რომლებიც გ. მაზნიაშვილმა აწარმოა, აღსანიშნავია ბრძოლა აჭარისათვის.

დიდი სამხედრო გამოცდილებით აღჭურვილი და ჯილდოებით მკერდდამშვენებული, გენერალ-მაიორი გიორგი მაზნიაშვილი, პირველი მსოფლიო ომიდან 1917 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა. ეს პერიოდი საქართველოსთვის მეტად რთული იყო. ქვეყანა ჩრდილოეთიდან წითლების, სამხრეთიდან თურქებისა და სომხების მოძალებას განიცდიდა. ქართული სამხედრო ძალა დაქსაქსული იყო, არ იყო საერთო ხელმძღვანელობა. ასეთ სიტუაციაში, 1918 წლის 30 მარტს გენერალ მაზნიაშვილს პირადად ნოე ჟორდანიამ დაავალა შეეჩერებინა თურქები აჭარაში და არ მიეცა მათთვის მდინარე ჩოლოქზე გადმოსვლის საშუალება.

აჭარაში კი ამ დროს ასეთი მდგომარეობა იყო: ბათუმმა ვერ გაუძლო მტრის მოზღვავეებს და თავისი გარნიზონით თურქებს ჩაბარდა. ბათუმიდან გამოქცეული ერთი ქართული ლეგიონი ოზურგეთისკენ გაიქცა, მეორე კი ქობულეთთან დაბანაკდა. ქართველს დაავიწყდა გამბედაობა და ვაჟაკობა წინაპრებისა, წერდა გ. მაზნიაშვილი თავის მოგონებებში. ოსმალები მოითხოვდნენ ბრესტი-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით მთელი აჭარის გადაცემას. მაზნიაშვილმა კარგად იცოდა, რომ მტერი აჭარის დაპყრობით არ დაკმაყოფილდებოდა, მთელ საქართველოს დაიპყრობდა, ხელს გაუწვდიდა ერთმორწმუნე ერებს - ახერბაიჯანს და ჩრდილო კავკასიის მუსლიმანებს. ბათუმის დაკარგვით ვაკრავადით გასასვლელ კარს ვეროპაში (გ. მაზნიაშვილი "მოგონებანი").

ჟორდანიას დავალების შესრულება თითქმის შეუძლებელი ჩანდა, სამხედრო ძალა მობილიზებული არ იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მოიძებნებოდა და პირველ აპრილს გ. მაზნიაშვილის სარდლობით სამტრედიიდან გავიდა 150 ჯარისკაცი 4 ოფიცრის თანხლებით. მათ მხოლოდ

4 ტყვიამფრქვევი და 6 ზარბაზანი გააჩნდათ. ამ ნაწილს შეუერთდა 174 თოფოსანი, 1300 კაციანი ნაწილი და 1 ჯავშნიანი მატარებელი. მაზნიაშვილის რაზმში იყვნენ მებრძოლები კასპიდანაც: გიგა კიტრიაშვილი, ალექსანდრე ზარიძე, ბესარიონ ნიპარიშვილი, ივანე სავიაშვილი, პეტრე ჭელიძე, სარქის ბაინდურაშვილი, ნიკოლოზ კენჭუაშვილი და სხვ.

გენერალმა ჯარი გა-



ნალაგა ჩოლოქის ხიდის ორივე მხარეს და შეუდგა ბრძოლისთვის მზადებას: გაამაგრა პოზიციები, ახლომხლო სოფლებიდან დაიბარა მოსახლეობა, ჩამოაყალიბა პარტიზანული რაზმები, შეარჩია მხვერვაელები და მეგზურები, რომლებმაც იცოდნენ ჭაობებში ბილიკები; შექმნა შტაბი და საინტენდანტო სამსახური. დიდი სამხედრო გამოცდილების

## გენერალის მზნიაშვილის სამხედრო ჯარისკაცი

მქონე გენერალმა კარგად იცოდა ომის სტრატეგია და ტაქტიკა, ჩინებულად იცნობდა ჯარისკაცის ფსიქოლოგიას. მას სათადარიგო ჯარს დიდი გავლენა აქვს თხრილებში მჯდომ ჯარისკაცების სულიერ განწყობილებაზე

ოზურგეთში, სადაც დახვდა ბათუმიდან უბრძოლველად გამოქცეული ქართული ლეგიონი დარცხვენილი ჯარისკაცებით, რომლებიც მზად იყვნენ მდებარე ებრძოლათ. მათ გენერალმა ოზურგეთსა და მდინარე ლიხაურს შორის არსებული გზების მეთვალყურეობა და დაცვა დაავალა და დაიმედებული დაბრუნდა ჩოლოქის პოზიციაზე. საღამოს მხვერვაელებმა შეატყობინეს, რომ მტერი მოიწვედა ორწევბად - გზატკეცილით ოზურგეთისკენ და რკინიგზით. 6 აპრილს მტერი მიუახლოვდა ხიდს. ჩვენმა არტილერიამ ზარბაზნები დაუშინა, სანგრებში მყოფ ჯარს კი უბრძანა არ ესროლათ, სანამ თურქები იმ ველზე არ გამოიშლებოდნენ, რომელიც ტყესა და ჩოლოქს შუა მდებარეობდა.

გათენებისას, ჯავშნიანი მატარებელი გამოვიდა ჩინიდან მთავარ ხაზზე, გადავიდა ჩოლოქის ხიდზე და გაიარა გარკვეული მანძილი.

მტერმა დრეზინა გამოუშვა. დადმართზე დაქანებული დრეზინა დაეჯახა ჯავშნოსნის წინა რონოდას, რომელიც ლი-

ანდაგს გადასცდა და მატარებელი გაჩერდა. სინემ დაისადგურა. რადგანაც ჯარი სანგრებიდან არ ისროდა, თურქებს ეგონათ, რომ ჩვენმა ჯარმა პოზიცია მიატოვა. ისინი ტყიდან გამოვიდნენ და მატარებელს მიუახლოვდნენ. უცებ ჯავშნოსნის ტყვიამფრქვევებმა და სანგრებში ჩასაფრებულმა ჯარმა სროლა ატეხა: ოსმალები ჭერებზედ იყვნენ ველზე, მტერი გაიქცა. ჩვენმა ჯარმა გადალახა მდინარე, მათ ოჩხამურამდე სდია და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ბრძოლაში 4 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა და 30-მდე დაიჭრა, თურქებმა 1000-მდე ასკერი დაკარგეს, 600-მდე კი დაიჭრა. ეს ყველაფერი ხდებოდა მარჯვენა ფრონტზე, მარცხენა ფრონტიდან კი თავზარდამცემი ცნობა მოვიდა - ოზურგეთი მტერმა უბრძოლველად დაიკავა.

6 აპრილის დღე ასე დამთავრდა: მარჯვენა ფრონტზე სრული გამარჯვება, მარცხენაზე კი სირცხვილი და თავზე ლაფის დასხმა.

\*დასასრული მომდევნო ნომერში.

### ციფრული მარჯვებულობა

- რა სარგებელი აქვს ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლას?

- ციფრული ტელევიზია იძლევა უფრო მეტი პროგრამის გადაცემის საშუალებას: დაახლოებით თხუთმეტი სტანდარტული გარჩევადობის პროგრამა სიხშირეთა იმ არხში, რომელიც ამჟამად გამოიყენება მხოლოდ ერთი ანალოგური პროგრამისათვის.

მომხმარებელთათვის მიწისზედა ტელემაუწყებლობის გაციფრულება უზრუნველყოფს ხმისა და გამოსახულების გაუმჯობესებულ ხარისხს, უფრო მეტი სატელევიზიო პროგრამების ხელმისაწვდომობას, მომსახურებას, პორტაბელური პროგრამების მიღების საშუალებასა და გაზრდის ინფორმაციული საზოგადოების სერვისების მიწოდების პოტენციალს. სერვისპროვაიდერები-

სათვის ციფრულ პლატფორმაზე გადასვლა უზრუნველყოფს უფრო მეტ შესაძლებლობას პროგრამის კონტენტის შექმნისათვის სხვადასხვა აუდიტორიის საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით.

აგრეთვე, გრძელვადიან პერსპექტივაში, იგი ამცირებს სერვის პროვაიდერების სამაუწყებლო ხარჯებს და უზრუნველყოფს მოქნილობას ნაციონალურ თუ ადგილობრივ მაუწყებლობის დონეებზე.

სახელმწიფოსათვის სარგებელი ჩნდება ციფრულ პლატფორმაზე გამოყენებულ რადიო სიხშირეთა რიცხვის შემცირებისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის გამო.

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით საშუალოვადიან პერსპექტივაში, სამაუწყებლო სიხ-

შირეთა ნაწილი გამოყენებულ იქნება (კერძოდ, 800 მჰც დიაპაზონი 2014 წლიდან ხოლო 700 მჰც დიაპაზონი 2015 წლის შემდგომ) უსადენო ფართო ზოლოვანი ტექნოლოგიების დასაწერად, რაც ხელს შეუწყობს მთელი საქართველოს მასშტაბით ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას და შემდგომ განვითარებას.

- რა არის ის პარამეტრები, რომლებზეც უნდა გადაწყვიტოს მაყურებლებმა თავიანთი თანამედროვე DVB-T2 სტანდარტის მქონე ტელევიზორები?

- ყველა თანამედროვე DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორში ერთადერთი რაც უნდა გააკეთოს აბონენტმა ციფრული საეთერო სამაუწყებლო სიგნალის მისაღებად არის ის, რომ ტელევიზორის მენიუში უნდა შეირჩიოს ავტომა-

## მოგვიჩვენე თუ არა ცელევიზორის გამოცვლა?

„ახალი განთიადის.. მკითხველთა კითხვებს პასუხობს მიფრედი მანუაშვილი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.“

ტური ძებნის რეჟიმი და დაჭირის Auto Search ლილაკს. ტელევიზორი იპოვნის ეთერში არსებულ ყველა ციფრულ არხს და მოათავსებს მათ Channel List-ში.

სამწუხაროდ აღნიშნული მეთოდი ყოველთვის ვერ იძლევა გარანტირებულ შედეგს (მაგ. სუსტი სიგნალის შემთხვევაში) ასეთ დროს საჭიროა ხელით ძებნის რეჟიმის გააქტიურება (Manual Search) რასაც წინ უნდა უსწრებდეს შემდეგი პარამეტრების შერჩევა: მენიუს შესაბამის პუნქტში უნდა შევარჩიოთ DTV რეჟიმი, უნდა შევარჩიოთ გატარების

ზოლი 8 მჰც. (OIRT System D), უნდა შევარჩიოთ არხის ნომერი ან სიხშირე (მაგ. თბილისისთვის 23 არხი, 490 მჰც.) ამის შემდეგ საჭიროა Manual Search რეჟიმის გააქტიურება, რის შედეგადაც ტელევიზორი იპოვნის ამ ერთი კონკრეტული არხის შესაბამისი მულტიპლექსის ყველა პროგრამას და მოათავსებს მათ Channel List-ში.

საჭიროა ამ მაინპულაციის გამეორება ყველა დანარჩენი მულტიპლექსპლატფორმებისთვის (მაგ. თბილისში "სტერეოპლუსის"-თვის 26-ე არხი, 514 მჰც.)

**მკითხველის სახუარდლო!**  
ს ი ფ რ უ ლ  
**მანუაშვილი მანუაშვილი**  
**გადასვლასთან დაკავშირებით თქვენთვის საინტერესო კითხვები. პასუხს შემოგთავაზებთ მომდევნო ნომერში.**

სახელმწიფო მულტიპლექსპლატფორმის სიხშირეები და არხის ნომრები მთელი საქართველოსთვის ნაჩვენებია ამ ბმულზე: <http://gncc.ge/uploads/other/0/499.xls> დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ცხელ ხაზს 14 80, ან ეწვიოთ ვებგვერდს digitaltv.ge



# ვალმხდილი პედაგოგი



მოღვაწეობასა და სკოლაში გატარებულ წლებზე დამსწრე საზოგადოებას ვრცლად ესაუბრა სკოლის დირექტორის მოადგილე ნინელი ყაზარაშვილი. მან დაწვრილებით გაიხსენა, თუ როგორი მასწავლებელი იყო ქალბატონი ლილი, გაიხსენა მის მიერ სკოლაში განხორციელებული პროექტები, მის მიერ სკოლაში ფრანგულ ენაზე გამართული თეატრალური სპექტაკლები



მასწავლებლის გაცილებს საზეიმო შეხვედრას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა გონიჭაშვილი, რომელმაც უდიდეს



“წითელქუდა”, “კონკია”, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი საქველმოქმედო ღონისძიება თუ კონცერტი, რომლიდანაც შემოსული თანხა გადაირიცხა დაზარალებულთა დასახმარებლად. პარალელურად, ამ დროს, სპეციალურად მოწყობილ კერძო ფარმაცევტული იყო ჯილდოების, სიგელების, სპექტაკლების დანაწევრების ამ სახეული ფოტო მასალების კოლექცია.

სი მაღლობა გადაუხადა ამგვარ პედაგოგს მომავალ თაობაზე ზრუნვისა და გაწეული ამაგისათვის. განსაკუთრებული პატივისცემა, სითბო გამოხატა თავის გამოვლაში საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან მიგერაულმა. შეხვედრაზე სტუმრად იმყოფებოდა მეოთხე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი მა-

რინა ზედგენიძე, რომელიც სიტყვით გამოხვლილას აღნიშნა, რომ სწორედ ლილი ხუციშვილთან ერთობლივი მუშაობით განისაზღვრა, 90-იან წლებში სკოლაში მესამე უცხო ენის – ინგლისურის დანერგვა, რომლის კურსსაც იგი წლების განმავლობაში წარმატებით უძღვებოდა, სწორედ ასეთმა თამამმა და დროულმა გადაწყვეტილებამ სრულიად შეცვალა სკოლის იმიჯი და ამავე დროს შესაძინევა გახდა მოსწავლეთა კონტინენტის ზრდის მარჯვენა გვერდი.

კავთიაშვილის, ნ. პაიაშვილის, მ. კორხელის გამოვლენები. სკოლის მოსწავლეთა ვოკალურმა ჯგუფმა /მუსიკის მასწავლებელი ბიჭიკო ნონიაშვილი/ შეასრულა რამდენიმე მუსიკალური ნომერი, მეთერთმეტეკლასელი მოსწავლეები ინგლისური სიმღერით (ჯონ ლედენის “დიოფ-მე”) მიესალმნენ ლილი მასწავლებელს. მთელი შეხვედრის განმავლობაში უღერდა ქართული და ფრანგულ-ინგლისური მუსიკა. ბოლოს სამადლობელი სიტყვა წართქვა ლილი ხუციშვილმა, იგი ემოციებს ვერ ფარავდა, ეს საღამო იყო განსაკუთრებული და ამაღლებული, ყველა ერთმანეთს ევერებოდა და უღიმოდა... ალბათ, უფლის ნებაა, რომ ასეთი დღე



ლილი ხუციშვილი იყო სკოლის მეუძღვნა სკოლას, კურსდამთავრებულების რ. მოწვეულ სტუმრებს.

## .. ხორჯი ეროვნებისა ..

კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა სახელმძღვანელოების სახელში გაიმართა საინტერესო, სანახაობრივ-შემეცნებითი ღონისძიება სახელწოდებით “ხორჯი ეროვნებისა”, რომელიც დედა ენის დღეს მიეძღვნა. ღონისძიება მოამზადა მოსწავლეთა სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ხატია მიქელაძე, ნინო ხაჩირაშვილი, მარიამ კაციაშვილი,

მარიამ აბულაძე, ანი კაპანაძე, მარიტა ბალხაშიშვილი, სალომე ჯაბაური, ქეთი ჭალისური, ანა ბაისონაშვილი, მარიამ მერებაშვილი, ლუკა მერებაშვილი, ხატია ხაჩირაშვილი, ანზორ დალაქიშვილი, ნიკა კობაიძე, ლუკა სპანდერაშვილი, კობა გასიტაშვილი, მიხეილ სამხარაძე. წარმოდგენისათვის სცენა ლამაზად გააფორმეს მოსწავლეთა სახლის მეთოდისტმა მარინა ნაგელიშვილმა და სამხატვრო წრის ხელმძღვანელმა მაკა თათრიშვილმა.



პის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა წამახალი სებელი სიგელები გადასცა.

იტაშვილს, მარიამ აბულაძეს, ხატია სამხაშვილს და ქრისტინე ბუთხუზს. მოსწავლეების მომზადებული წარმოდგენა დადებითად შეაფასეს შეხვედრაზე მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ: საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენელი ლელა გიგოლაშვილი, კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი ქეთი გურგენაშვილი და სხვები.



მარიამ აბულაძე, ანი კაპანაძე, მარიტა ბალხაშიშვილი, სალომე ჯაბაური, ქეთი ჭალისური, ანა ბაისონაშვილი, მარიამ მერებაშვილი, ლუკა მერებაშვილი, ხატია ხაჩირაშვილი, ანზორ დალაქიშვილი, ნიკა კობაიძე, ლუკა სპანდერაშვილი, კობა გასიტაშვილი, მიხეილ სამხარაძე. წარმოდგენისათვის სცენა ლამაზად გააფორმეს მოსწავლეთა სახლის მეთოდისტმა მარინა ნაგელიშვილმა და სამხატვრო წრის ხელმძღვანელმა მაკა თათრიშვილმა.

პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს მოსწავლეებმა: შორენა პაიჭაშვილიმა /პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი/ და სალომე ჯაბაურმა/ პედაგოგი ნანა მერებაშვილი/, დიპლომები და სიგელები გადაეცათ მოსწავლეებს: ლუკა ნოდარიშვილს, ლიკა გამხ-

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

**ძვირფასო მკითხველო!**  
**ჩიუბჩიუხ** -  
- “წელიწადის მისეთი დრო”  
ელოფნა თქვენს გამოხმაურებას.  
მომზადებით რედაქციაში, წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები (ელექტრონული ვერსია) და გააუხიოთ ისინი საზოგადოებას.

**გამოიწვიეთ**  
“სხალი განთიადი”

უკვე ორი წელია, ჩვენი პატარა ქალაქის, კასპის კულტურის ცენტრის შესასვლელს ლევინდარული მუსიკოსის, სალამურზე დაკვრის ვირტუოზი შემსრულებლის ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტი ამშვენებს. სალამურის დიდოსტატი, საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული ფოლკლორული ხელოვნების დიდი პოპულარიზატორი ომარ კელაპტრიშვილი სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აჯადობდა მსმენელს თავისი განუყოფელი ოსტატობით, მან პირველმა ერთ დროს მივიწყებული ხალხური საკრავი ინსტრუმენტი სალამური ააღორძინა, დაამკვიდრა ქართულ სცენაზე, მერე კი მსოფლიოს გააცნო მისი ფენომენი და უდიდესი აღიარება მოუტანა ქართულ კულტურასა და ხელოვნებას...

ჭეშმარიტი მუსიკოსის ომარ კელაპტრიშვილის მოღვაწეობა სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართულ, ფოლკლორულ ხელოვნებაში, მან საოცრად გაამრავალფეროვნა და გაამდიდრა ხალხური საკრავიერი მუსიკა, კლასიკურ დონეზე აიყვანა ხალხური ინსტრუმენტების /სალამური, დუდუკი/ საშემსრულებლო ხელოვნება. ომარ კელაპტრიშვილის თაოსნობით 80-იან წლებში რადიო ტელევიზიასთან შეიქმნა ფოლკლორული ანსამბლი "კელაპტარი", რომელსაც ანალოგი არ ჰქონდა საქართველოში და დღეს უკვე აღიარებული ანსამბლი ღირსეულად აგრძელებს დიდი მანერის დაწვებულ საქმეს. ომარ კელაპტრიშვილმა პირველმა საქართველოს ისტორიაში შექმნა ფოლკლორის სასახლეში შეიქმნა სკოლა-სტუდია, რომელმაც მიიზიდა და აღზარდა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მრავალი თაობა. ომარ კელაპტრიშვილი გატაცებული იყო პოეზიითაც, წერდა შესანიშნავ ლექსებს, რომელიც იბეჭდებოდა ქართულ პრესაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ერთი ფილოსოფიური ლექსი "დავად გზებზე ემაგ შენი სალამური", რომელიც მუსიკოსმა მწვემს ბიჭის სამარხში /დათარიღებულია 2500 წლით / არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ძვლის უნო სალამურს მიუძღვნა.

საქვეყნოდ აღიარებული მუსიკოსი, საამაყო და ღირსეული ქართველი, კავთისხველი ომარ კელაპტრიშვილი ნაადრევად, 49 წლის ასაკში, 1992 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა, დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში... დღეს უკვე ისტორიად ქცეული უბადლო მუსიკოს-შემსრულებლის ნაღვაწსა და დანატოვარ კულტურულ მემკვიდრეობას სათანადო პატივს მიაგებს მისი ნიჭის დამფასებელი ქართველი საზოგადოება. ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, თბილისში, ხელოვნების სასახლის მუზეუმის სასახლის მუზეუმის უკვდავთა ბაღში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტი. გახსნის საზეიმო ცერემონიას ბევრი სტუმარი ეწვია, აქ იყვნენ დედაქალაქის ცნობილი სახეები, მწერლები, კომპოზიტორები, მსახიობები, თეატრალური, ახალგაზრდა მუსიკოს-მეზოსრულებლები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამეობა, კულტურის სამსახური, მუზეუმების გაერთიანება, კავთისხვეის ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმი /დირექტორი ომარ კელაპტრიშვილი უმცროსი/ და თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა ხელოვნების მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია, რომელმაც საზეიმოდ გამოაცხადა ხელოვნების მუზეუმის უკვდავების ბაღის კიდევ ერთი "ბინადარი", თვალსაჩინო მუსიკოსი... ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტის საბურველის ჩამოსხნის (ქართული "მრავალფამიერის" თანხლებით, ასრულებდა კასპის მუნიციპალიტეტის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი") პატივი წილად ხვდათ ომარ კელაპტრიშვილის შვილიშვილებს ლუკას, მარიამს, სალომეს და მუსიკოსის მეუღლეს ციმი კელაპტრიშვილს. შემდეგ სცენა დაეთმო მუსიკოსის უახლოეს მეგობრებსა და თანამოაზრეებს: საქართველოს სახალხო არტისტს, ანსამბლ "რუსთავის" ხელმძღვანელს ანზორ ერქომაიშვილს, ქართული

ცეკვის ლეგენდას, საქართველოს სახალხო არტისტს ფრიდონ სულაბერიძეს, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილს, კელაპტრიშვილების ოჯახის მეგობარს, საქართველოს პარლამენტის წევრს თემურ ჭკუასელს, რომლებმაც დიდი სიყვარულით და პატივისცემით გაიხსენეს ნაადრევად წასული ხელოვანი, უერთგულესი მეგობარი. შთამბეჭდავი იყო ფოლკლორული ანსამბლების "კელაპტარის", "რუსთავის", "მოურავის", "ქალდეას", "ურმულის" გამოსვლები, რომლებსაც დამსწრე საზოგადოება ოვაციებით შეხვდა.

შეკრებილ საზოგადოებას, დედაქალაქის ინტელიგენციას, ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა გონიჭაშვილმა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ, რომლებმაც უდიდესი კმაყოფილება გამოთქვეს ომარ კელაპტრიშვილის ნიჭისა და დედაწლის დაფასებისათვის.

ღონისძიების ბოლოს, საყურადღებო, საინტერესო განცხადებით გამოვიდა ბიუსტის გახსნის ორგანიზატორი და მოთავე, ომარ კელაპტრიშვილის მეუღლე ქალბატონი ციმი კელაპტრიშვილი, რომელმაც აუწყა საზოგადოებას, რომ შემოდგომაზე გაიმართება ომარ კელაპტრიშვილის სახელობის ფოლკლორული ფესტივალი, საპრიზო ადგილებზე გასული მუსიკოს-მეზოსრულებლები შესაბამისად დაჯილდოვდებიან 49 გრამიანი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სალამურით.

უდიდესი პატივია ჩემთვის, მთელი ჩემი ოჯახისათვის, ომარის ნიჭის დამფასებლებისათვის, - განაცხადა მუსიკოსის მეუღლემ, - რომ ამიერიდან ხელოვნების მუზეუმის ერთი პატარა განყოფილება დაეთმო ომარ კელაპტრიშვილის ექსპონატებს. სამისოდ უკვე გადავეცი მუზეუმს მუსიკოსის 50 წლის წინ მხატვარ ფარნაოზ ლაბიაშვილის მიერ შექმნილი ქართული ჩოხა, რომლითაც ომარ კელაპტრიშვილი პირველად გამოვიდა დიდ სცენაზე თავისი განუყრელი სალამურით და შეასრულა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი



ომარ კელაპტრიშვილის სალამური ლოცვასავით ეფინებოდა საქართველოს



"დაისი". მინდა იცოდეთ, რომ ამიერიდან ხელოვნების მუზეუმის კუთვნილება იქნება აგრეთვე, მუსიკოსის სალამური, დუდუკი, საგასტროლო კონცერტების ამსახველი დისკები. საზეიმო ღონისძიების დასრულების შემდეგ კასპის მუზეუმის კუთვნილება იქნება აგრეთვე, მუსიკოსის სალამური, დუდუკი, საგასტროლო კონცერტების ამსახველი დისკები. ლიერეს ხელოვნების სასახლის თეატრის, კინოს, მუსიკის, ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.



